

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ქსელმშენი“

(ს/ნ 200258620)

30 სექტემბერი 2022



შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	6-20




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20	01-01-20
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,067,359	707,491	552,015
დაუმთავრებელი მშენებლობა		-	-	56,000
არამატერიალური აქტივები		<u>542</u>	<u>678</u>	<u>-</u>
		1,067,901	708,169	608,015
მოკლვადიანი აქტივები				
მარაგი	6	1,276,824	1,858,545	974,430
წინასწარ გადახდილი გადასახადები		514,668	145,460	12,060
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,355,773	1,069,428	623,011
ფული და ფულის ექვივალენტები	8	<u>149,353</u>	<u>44,645</u>	<u>29,270</u>
		5,296,618	3,118,078	1,638,771
სულაქტივები		<u>6,364,519</u>	<u>3,826,247</u>	<u>2,246,786</u>
კაპიტალად ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი			-	-
გაუნაწილებელი მოგება		<u>4,842,609</u>	<u>2,542,507</u>	<u>1,040,602</u>
		4,842,609	2,542,507	1,040,602
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები		<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>
		-	-	-
მოკლვადიანი ვალდებულებები				
მიღებული მოკლვადიანი სესხები	9	1,460,196	525,923	900,529
გადასახადები			8,294	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	<u>61,714</u>	<u>749,523</u>	<u>305,655</u>
		1,521,910	1,283,740	1,206,184
სულკაპიტალად ვალდებულებები		<u>6,364,519</u>	<u>3,826,247</u>	<u>2,246,786</u>

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელის მიერ 2022 წლის 31 მარტს


 /დავით ბეგოიძე/
დირექტორი




 /ზაური ბუჯია/
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	11	15,322,996	9,251,730
რეალიზებული პროდუქციის თვითღ.	12	(9,027,348)	(6,354,629)
საერთო მოგება		6,295,648	2,897,101
სხვა შემოსავალი		-	-
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები		(22,766)	(42,062)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,585,170)	(1,176,620)
სხვა ხარჯები		(2,298,901)	(52,859)
საოპერაციო მოგება		2,388,811	1,625,560
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი		(54,599)	(123,523)
საჯურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი)		(33,759)	(89,664)
მოგება (ზარალი) დაბეგრამდე		2,300,453	1,412,373
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		2,300,453	1,412,373



დავით ბეგოიძე/
დირექტორი




ზაური ბუჯია/
მთავარი ბუღალტერი

6-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტლის ცვლილებების ანგარიშგება			
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	საწესდებო კაპიტალი	გაწარმოებული მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	-	1,123,672	1,123,672
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	-	2,542,156	2,542,156
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	-	4,842,609	4,842,609



/დავით ბეგოიძე/

დირექტორი





/ზაური ბუჯია/


მთავარი ბუღალტერი

6-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულად ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2021	2020
საქონლის და მომსახურების მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები	15,733,169	10,922,855
სხვა მიღებული ფულადი სახსრები და ამონაგებები	-	-
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(10,598,711)	(8,864,884)
დაქირავებულ პირთათვის გადახდილი (ნეტ) ფულადი სახსრები	(2,165,976)	(1,006,395)
გადახდილი სხვა ფულადი სახსრები	(2,094,950)	(1,165,243)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდ ფულად სახსრები	(873,532)	(113,667)
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(463,579)	(200,547)
საინვესტიციო საქმიანობისგან გასული წმინდ ფულად სახსრები	(463,579)	(200,547)
სესხების სახით საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები	1410301	733,042
პროცენტების სახით გაცემული ფულადი ნაკადები	(54,599)	(123,523)
პროცენტების სახით მიღებული ფულადი ნაკადები	-	-
დივიდენდის სახით გაცემული ფულადი ნაკადები (ნეტ)	(1,810,000)	(327,000)
დივიდენდის სახით მიღებული ფულადი ნაკადები	-	-
ფინანსური საქმიანობიდან (გასული) შემოსული წმინდ ფულად სახსრები	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	44,645	76,340
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	149,053	44,645

 /დავით ბეგოიძე/

დირექტორი





/ზაური ბუჯია/

მთავარი ბუღალტერი

6-20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინმდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ


შპს „ქსელშენი“-ი (ს/ნ 200258620) (შემდგომში - კომპანია) არის 2008 წლის 10 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ჯამბულ წურჭუმის ქ., N12

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ელექტროსამონტაჟო საპროექტო სამუშაოები.

კომპანიის პარტნიორი	<u>31.დეკ.21</u>	<u>31.დეკ.20</u>	<u>31.დეკ.19</u>
05001002046, დავით ბეგოიძე	100%	100%	100%
სულ:	<u>100.00%</u>	<u>100.00%</u>	<u>100.00%</u>

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო - დავით ბეგოიძე.





/ დირექტორი / მთავარი ბუღალტერი /

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს სტანდარტი 2015) შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე გარდა სხვაგვარად აღნიშნულისა.

წინამდებარე ანგარიშგება მისი წარდგენის მომენტში არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორ(ებ)ის მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორ(ებ)ს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

3.1. უცხოური ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ფულადი ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.2. ძირითადი საშუალებები

3.2.1. აღიარება

კომპანია ძირითად საშუალებად აღიარებს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც

_____/ დირექტორი /



_____/ მთავარი ბუღალტერი /

(ა) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

(ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნითგამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

(ბ) კომპანიისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

3.2.2. შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ძირითადი საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

3.2.2. აღირების შემდგომი შეფასება

კომპანია ძირითადი საშუალებას თავდაპირველი აღიარების შემდგომ აფასებს და აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით (თვითღირებულების მოდელი).

_____/ დირექტორი /



_____/ მთავარი ბუღალტერი /

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შეიტანება:

- ა) მისი ნასყიდობის ფასი, სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლებით;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალების დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები;
- დ) გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯები, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

3.2.3. ცვეთა

ძირითადი საშუალების ცვეთის გაანგარიშება ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებს ექსპლოატაციაში შესვლის წელს ამორტიზაცია ერიცხება სრულად - მთელი წლის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით შეადგენს:

- | | |
|----------------------------|---------------|
| • შენობა-ნაგებობები | 20 - 50 წელი; |
| • ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 - 10 წელი; |
| • მანქანა დანადგარები | 5 - 10 წელი; |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 - 10 წელი; |
| • ძაღოვანი დანადგარები | 5 - 10 წელი |

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

3.2.4. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშო პერიოდში ამათუიმ ძირითადი საშუალების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება. ასეთის (გაუფასურების) არსებობის შემთხვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.

3.2.5. აღიარების შეწყვეტა

_____ / დირექტორი /



_____ / მთავარი ბუღალტერი /

კომპანია ძირითადი საშუალების აღიარებას წყვეტს

- (ა) ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან
- (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

3.3. არამატერიალური აქტივები

3.3.1. აღიარება

არამატერიალური აქტივის აღიარებას კომპანია ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც

- (ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა;
- (ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან ღირებულების საიმედოდ შეფასება; და
- (გ) აქტივი შექმნილი არ არის რომელიმე არამატერიალურ ერთეულზე საწარმოს ფარგლებში გაწეული დანახარჯების შედეგად.

3.3.2. თავდაპირველი შეფასება

კომპანია არამატერიალური აქტივის ღირებულების თავდაპირველ შეფასებას ახდენს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს

- (ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე; და
- (ბ) უშუალოდ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს.

3.3.3. აღიარების შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომ კომპანია არამატერიალური აქტივს აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

_____/ დირექტორი /



_____/ მთავარი ბუღალტერი /

3.3.4. ამორტიზაცია

კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

3.3.5. გაუფასურება

კომპანია არამატერიალური აქტივის გაუფასურების განსაზღვრას ახდენს 3.2.4. პუნქტში მოცემული პრინციპის შესაბამისად.

3.3.6. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში;
- ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3.4. მარაგები


3.4.1. აღიარება

კომპანია მარაგად აღრიცხავს ისეთ აქტივს, რომელიც:

- (ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- (ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში;
- ან
- (გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

3.4.2. შეფასება

კომპანია მარაგის შეფასებას ახდენს მარაგის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

 / დირექტორი /



 / მთავარი ბუღალტერი /

მარაგის თვითღირებულებაში შეიტანება მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი, ასევე ისეთი დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

3.4.3. თვითღირებულების ფორმულა

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.4.4. მარაგის გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა მარაგი. მარაგის გაუფასურება ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურება. გაუფასურების შემთხვევაში კომპანია მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

3.4.5. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს არამატერიალური აქტივის აღიარებას

- ა) მარაგის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში კომპანია ახდენს მარაგის საბალანსო ღირებულების ხარჯად აღიარებას);
- ბ) სხვა აქტივების ანგარიშებზე მიკუთვნების შემთხვევაში (ასეთ შემთხვევაში მარაგზე მოქმედებს იმ აქტივის აღიარება/შეფასების ნორმები, რომლის კომპონენტიც ის გახდა).

3.5. ფინანსური აქტივები / ფინანსური ვალდებულებები

3.5.1. აღიარება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

3.5.2. პირველადი შეფასება

_____/ დირექტორი /



_____/ მთავარი ბუღალტერი /

აღიარებისას ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასებას კომპანია ახდენს გარიგების ფასით.

3.5.3. გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

3.5.4. აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6. საკუთარი კაპიტალი

კომპანია საკუთარი კაპიტალის ანგარიშში აღრიცხავს კომპანიის მესაკუთრის მიერ კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და კომპანიაში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრის ინვესტიციის შემცირება, რაც განპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

_____/ დირექტორი /



_____/ მთავარი ბუღალტერი /

3.7. ამონაგები

3.7.1. აღიარება

კომპანია საქონლის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, როცა დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

(ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევით მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.7.2. ამონაგების შეფასება


კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების თანხებით.

_____/ დირექტორი _____/ მთავარი ბუღალტერი /



4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს რომ კომპანიას უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა, რაც თავისმხრივ გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

 / დირექტორი /



 / მთავარი ბუღალტერი /

5. ძირითადი საშუალებები

	ბმს	შენიშნა- ნაგებობები	აკუმულირებული დეგრაცია	მანქანა- დანადგარები	სატელეკომუნიკაციო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2020	25,000	231,986	54,060	214,613	253,239	778,898
შემოსვლა	-	58,458	6,744	12,631	179,809	257,642
ბასვლა	-	-	-	-	(52,000)	(52,000)
ბადაცემები	-	-	-	-	-	-
სტრუქტურული ღირებულება 31.12.2020	25,000	290,444	60,804	227,244	381,048	984,540
ისტორიული ღირებულება 01.01.2021	25,000	290,444	60,804	227,244	381,048	984,540
შემოსვლა	-	-	9,493	51,712	402,369	463,574
ბასვლა	-	-	-	2,119	-	(2,119)
ბადაცემები	-	-	-	-	-	-
სტრუქტურული ღირებულება 31.12.2021	25,000	290,444	70,297	276,837	783,417	1,445,995

ცვლილება

დაგრძელებული ცვლილება 31.12.2020

	-	(59,090)	(18,326)	(103,999)	(95,634)	(277,049)
--	---	----------	----------	-----------	----------	-----------

დაგრძელებული ცვლილება 31.12.2021

		(40,080)	(21,244)	(139,375)	(177,938)	(378,637)
--	--	----------	----------	-----------	-----------	-----------

საბალანსო ღირებულება

საბალანსო ღირებულება 31.12.2020

25,000	231,354	42,478	123,245	285,414	707,491
--------	---------	--------	---------	---------	---------

საბალანსო ღირებულება 31.12.2021

25,000	250,364	49,053	137,462	605,479	1,006,358
--------	---------	--------	---------	---------	-----------



დირექტორი /

მთავარი ბუღალტერი /

6. მარაგები

	31-12-21	31-12-20	01-01-20
ნედლეული და მასალები	1,1276.824	1,858,545	1,053,455
სულმარგები	1,276.824	1,858,545	1,053,455

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-12-21	31-12-20	01-01-20
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,355,773	1,069,428	1,039,166
გადახდილი ავანსები	-	-	-
სხვა მოთხოვნები	-	-	-
სულსავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,355,773	1,069,428	1,039,166

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-12-21	31-12-20	01-01-20
ნაღდი ფული სალაროში	33,485	32,881	63,372
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში	115,868	11,764	13,268
სულფული და ფულის ექვივალენტები	149,353	44,645	76,640

 / დირექტორი /
 
 / მთავარი ბუღალტერი /

9. მიღებული სესხები

	31-12-21	31-12-20	01-01-20
მოკლევადიანი სესხები რეზიდენტი ბანკებიდან	1,460,196	533,501	1,405,143
მიღებული სესხი პარტნიორისგან	-	-	-
სულსესხები	1,460,196	533,501	1,405,143

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები


	31-12-21	31-12-20	01-01-20
მიღებული ავანსები	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	61,713	747,867	199,461
სულსავაჭრო და სხვა ვალდებულებები	61,713	747,867	199,461

11. შემოსავალი

	2021	2020
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	11,685,955	7,522,388
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,637,041	1,729,342
სულშემოსავალი	15,322,996	9,251,730

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
რეალიზებული მომსახურების თვითღ.	9,027,348	6,354,629
შომის ანაზღაურება პროექტები	-	-
რეალიზებული საქონლის თვითღ.	-	-
სულრეალიზებული პროდუქციის თვითღ.	9,027,348	6,354,629

 / დირექტორი /
 
 / მთავარი ბუღალტერი /

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები


	2021	2020
შრომის ანაზღაურება	1,483,581	838,454
სხვა ხარჯი	745,336	320,449
კომუნალური ხარჯი	20,342	12,077
ცვეთა ამორტიზაცია	101,589	54,157
რეკლამის ხარჯი	4,578	3,580
სულსაერთოდ ადმინისტრაციული ხარჯები	2,355,426	1,228,717

14. წინა წლის ანგარიშგების შესწორება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ფარგლებში კომპანიამ გადაწყვიტა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წინა ფინანსური ანგარიშგების შესწორება, კერძოდ:

შესწორებები გაკეთებული იქნა შემდეგნაირად:


ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგების კორექტურა:

 / დირექტორი /
 
 / მთავარი ბუღალტერი /

2020 წლის 31 დეკემბერი	ბალანსი შესწორებამდე	კორექტირება	ბალანსი შესწორების შემდეგ
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	697,848	9,643	707,491
მარაგი	1,860,489	(1944)	1,858,545
ავანსები	153,682	(8,222)	145,460
ფული და ფულის ექვივალენტები	44,345	300	44,645
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	2,536,808	5,699	2,542,507
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	747,867	1,656	749,523

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშების კორექტირება:

2020 წელი	მოგება/ზარალი შესწორებამდე	კორექტირება	მოგება/ზარალი შესწორების შემდეგ
სხვა ხარჯები	52,096	763	52,859

 / დირექტორი /
 
 / მთავარი ბუღალტერი /